

თანამედროვე ადამიანის მიერ ნეანდერტალელის ჩანაცვლება და გარემო
პირობების ზეგავლენა ამ პროცესზე

თამარ მელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ თუმბრაშიშვილი, სრულიპროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ადამიანის გამჭრალი სახეობის - ნეანდერტალელის ცხოვრების, მისი ბუნების და თავისებურებების, მისი გადაშენების მიზეზების კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, ზემო იმერეთში, 40.000 – 30.000 წლების წინა პერიოდის პალეოკლიმატის, ფლორისა და ფაუნის რეკონსტრუქციის მეშვეობით, საშუალება გვეძლევა ნეანდერტალელის გადაშენების საკითხებზე ვიმსჯელოთ. ერთმანეთთან სიახლოვის, არსებული რადიომეტრული თარიღების და მდიდარი არქეოლოგიური და პალინოლოგიურ-პალეონტოლოგიური მასალის გამო, ჩვენი ყურადღების ქვეშ მოექცა ჭიათურის რაიონში მდებარე ოთხი პალეოლითური მღვიმე. ნეანდერტალელის სამხრეთ კავკასიიდან გაქრობა რამდენიმე მძლავრ, გლობალურ გარემო კატასტროფას ემთხვევა, რაც შესაძლოა ყოფილიყო მათი გადაშენების მთავარი გამომწვევი მიზეზი და არა ჰომო საპიენსთან წარუმატებელი კონკურენცია, როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა. განვიხილავთ ასევე თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას, ნეანდერტალელის გენომის რეკონსტრუქციას და მის მნიშვნელობას ჩვენი კვლევებისთვის.

ნაშრომის დასკვნის სახით იქნება წარმოდგენილი არგუმენტები, რის საფუძველზეც ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ნეანდერტალელებს და ანატომიურად თანამედროვე ადამიანებს საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ქონიათ და რაც არ უნდა ყოფილიყო მათი გადაშენების გამომწვევი მიზეზი, ეს ჰომო საპიენსის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენას არ უნდა უკავშირდებოდეს.

Abstract

On the territory of Georgia we search for the extinct human population – Neanderthals. Main purpose of this research is to reconstruct the lifestyle, nature, habits and demise of this population in western Georgia, Imereti. What were main reasons of their demise? Or was there just one? We try to answer this questions considering new radiometric dates, pollen and faunal data, Middle and Upper Paleolithic lithic industries from caves Ortvala Klde, Dzudzuana, Bondi and Undo klde. Dissapearence of Neanderthals in Caucasus coincides with several paleoclimatological changes. Their significance on climate was so huge on environment and living creatures that we suppose Neanderthal lineage reduced abruptly after these catastrophes.

This thesis also analyzes the recent discovery of Neanderthal DNA and genome sequence. We try to find out what kind of importance can this discovery have for our research.

As a conclusion we present arguments why we think that Neanderthals were absent from Caucasus for some time before Early Modern Humans arrived here and why in Georgia these two species, probably, had no interaction.